ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7997591

ნომერი: AR11150582

თარიღი : 03.07.2026

გაცემის თარიღი : 10.07.2026

გაცნობის თარიღი : 10.07.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N 22ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ შეყრილაძე პ/ნ 01017027852
- თბილისი პავლე ინგოროყვას ქ. N 3 ბ. 7

ორგანიზაცია:
- ლიდერ დეველოპმენტ გრუპი კოდი: 405169400

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 03 ივლისს №AR11150582 განცხადებით მომართა ნიკოლოზ შეყრილაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2026 წლის 29 ივნისის №7981814 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 03 აპრილის №7871572 ბრძანებით შეთანხმდა №01.14.01.001.515 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, შენობა №2-ის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2026 წლის 03 აპრილიდან 2030 წლის 03 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

სამსახურის 2026 წლის 29 ივნისის №7981814 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2026 წლის 03 აპრილის №7871572 ბრძანებაში და გაგრძელდა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა.

განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2026 წლის 29 ივნისის №7981814 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტში და კალენდარულ გრაფიკში მე-16 ეტაპის სამუშაოებში ნიშნულები და ღერძები არასწორად არის მითითებული. შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტის და კალენდარული გრაფიკის ჩანაცვლებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა (შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტში და კალენდარულ გრაფიკში ნიშნულების და ღერძების შეცვლა) არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს. აქვე გაცნობებთ, რომ ნიშნულების და ღერძების შეცვლა საჭიროებს საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2026 წლის 29 ივნისის №7981814 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.